მეოთხე კლასი
მიმოხილვა, ფინალი

ტესტის ჯამური ქულაა 100. თემატურად იყოფა ორ ნაწილად. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი 30 დავალებისგან.

I ნაწილი – ტექსტის გააზრება. (40 ქულა)

ტესტში წარმოდგენილი იქნება საკლასო, ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისი ტექსტი ან ნაწყვეტი, რომელიც უნდა წაიკითხოს და გაიაზროს მოსწავლემ. მან უნდა შეძლოს მიღებული ინფორმაციის სწორად გაგება, ტექსტის დეტალებზე დაკვირვება, ფაქტების გარჩევა და მთავარი აზრის გამოყოფა. დავალებები ეფუძნება მოსწავლის დაკვირვებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარს. ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით მოსწავლემ უნდა გამოიტანოს დასკვნები.

II ნაწილი – ლექსიკა, ფრაზეოლოგია და გრამატიკა. (60 ქულა)

ტესტის მეორე ნაწილი მოიცავს გრამატიკულ და ლექსიკურ დავალებებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების, ზედსართავი, რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელების ამოცნობა და ელემენტარული მართლწერის ნორმების დაცვა, აგრეთვე შეძლოს მსგავსი და საპირისპირო მნიშნელობის სიტყვების გარჩევა. მოსწავლემ უნდა გაარჩიოს სახელების კატეგორიები, უსულო და სულიერი საგნები.

მაგალითი:

რას აღნიშნავს სიტყვა „ათასი”?

ა) რაოდენობას

ბ) მოქმედებას

გ) ფერს

დ) დროს

რომელია ზედსართავი სახელი?

ა) ლამაზი ბ) ქუჩა გ) წავედით დ) მე